შპს "ქეი 1" **K1 LTD**

საზოგადოებრივი მაუწყებლის
გენერალურ დირექტორს
ბატონ გიორგი ჭანტურიას

12 ივლისი 2010 წ.

ბატონო გიორგი,

როგორც ცნობილია, მთავრობის 2010 წ. 9 ივლისის განკარგულების თანახმად საზოგადოებრივი მაუწყებლის მესამე არხის (პირველი კავკასიური) ფუნქციონირებისთვის გამოყოფილია თანხა მთავრობის სარეზერვო ფონდიდან.

მოგმართავთ წინადადებით, კანონით გათვალისწინებული ნორმების ფარგლებში, განიხილოთ საზოგადოებრივი მაუწყებლის მე-3 არხის შპს "ქეი 1"-სთვის მართვაში გადაცემის საკითხი.

მოგახსენებთ, რომ შპს "ქეი 1"-ის მისიაა ხელი შეუწყოს საქართველოში თანამედროვე მედია სტანდარტების დანერგვას და საუკეთესო პრაქტიკის გავრცელებას.

ამ მიზნით ჩვენი კომპანია აპირებს ევროპის წამყვანი სპეციალისტებისა და ამ სფეროში გამოცდილი ადამიანების მოზიდვას საქართველოში სამუშაოდ.

ჩვენ გამოვიყენებთ ჩვენ კონტაქტებს მსოფლიოს წამყვან მედიასთან და დავამყარებთ პარტნიორულ ურთიერთობებს სხვადასხვა მედია საშუალებებთან. გამოვიყენებთ ჩვენ ცოდნას და გამოცდილებას იმისათვის, რომ ყველა დაინტერესებულ ხალხს შევთავაზოთ საუკეთესო ხარისხის მედია პროდუქცია საქართველოდან და მთელი რეგიონიდან.

ამასთან ერთად, წარმოგიდგენთ ჩვენს ხედვას საზოგადოებრივი მაუწყებლის მესამე არხის განვითარებისათვის (იხილეთ დანართი).

პატივისცემით,

[redacted]
[redacted]
[redacted]
შპს "ქეი 1"

K1 LIMITED LIABILITY COMPANY GEORGIA 401948318 K1-TV

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
"საზოგადოებრივი მაუწყებელი"
"12" 07 2010
№ 3308/05